ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 36-4

"23" იანვარი 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 10/05/2022, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.35.101.016985) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის":

ა) მე-8 მუხლის:

ა.ა) მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სხვენის ფართობი;"

ა.ბ) მე-3 პუნქტს, „დ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე" ქვეპუნქტი:

„ე) სხვა ფართები, გარდა საცხოვრებელი ან/და კომერციული სტატუსის მქონე ფართებისა."

ა.გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. არსებული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, პროექტის განმახორციელებლის გადაწყვეტილებით, დაინტერესებული პირის საკუთრებაში შესაძლებელია ჩაითვალოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ-ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფართი ან მისი ნაწილი, თუ იგი კეთილმოწყობილია და ფაქტობრივად გამოიყენება საცხოვრებლად. ამასთანავე, დაინტერესებული პირების საკუთრებაში არ იანგარიშება რეგისტრირებული საცხოვრებელი ან/და კომერციული სტატუსის მქონე ფართები, რომელთა ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ფართის დანიშნულებას."

ბ) მე-8 მუხლს:

ბ.ა) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 , 5^2 და 5^3 პუნქტები :

„5^1. დაინტერესებული პირების საკუთრებაში არ იანგარიშება დამოუკიდებელ ბინად/ერთეულად ან/და კომერციულ ფართად, ამ წესის ამოქმედების შემდეგ, უძრავი ნივთის დაყოფის შედეგად შექმნილი უძრავი ნივთი ან მისი ნაწილი, თუ იგი არ აკმაყოფილებს მე-9 მუხლის 2^1 პუნქტის მოთხოვნებს.

5^2. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საფუძველზე ერთი პირის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ნივთები საანგარიშო ფართად განიხილება ერთობლიობაში, მიუხედავად საკადასტრო ერთეულების რაოდენობისა, თუ ინდივიდუალური საკადასტრო კოდი არ აკმაყოფილებს ამავე წესის მე-9 მუხლის 2^1 პუნქტის მოთხოვნებს.

5^3. ამ წესის ამოქმედების შემდეგ, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საფუძველზე გადაცემული ფართების გასხვისებისას, თუ ეს ფართები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ აკმაყოფილებენ ამავე წესის მე-9 მუხლის 2^1 პუნქტის მოთხოვნებს, გადასაცემი ფართი დაინტერესებულ პირებს დაუანგარიშდებათ საერთო ფართად და გადაეცემათ თანასაკუთრებაში.“

გ) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ავარიული სახლის ადგილას აშენებულ ახალ შენობა-ნაგებობაში, დაინტერესებულ პირს გადაეცემა არანაკლებ მის საკუთრებაში არსებული (ფაქტობრივი ანაზომის მიხედვით) ფართობის ტოლი ფართობი ამ წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ მდგომარეობაში, ჩასანაცვლებელი ფართის სტატუსის შესაბამისად, გარდა ამ წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევისა. დასაშვებია ფართის ცდომილება გონივრულ ფარგლებში, რომელიც რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**